ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**g-87. 87241853**
თარიღი:**03/07/2024**

განკარგულება №36

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ზემო ალვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 3338.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.01.34.623 ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე- 4და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **სოფელ ზემო ალვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 3338.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 50.01.34.623** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის პირობები:

   ა) წლიური ქირის საწყისი საფასური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -375.00 (სამასსამოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM